ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №163420

ნომერი: AR141364

თარიღი : 12.04.2012

გაცემის თარიღი : 14.05.2012

გაცნობის თარიღი : 02.06.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის, ინტესიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ კოვზირიძე პ/ნ 01024002863
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 26 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის #AR141364 განცხადება, რომლითაც ითხოვდით ქ. თბილისში, ლისის ტბის და ვაშლიჯვარის შორის, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ#01.10.18.011.009, #01.10.18.011.010 და #01.10.18.011.011 მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური და დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი და განცხადებაზე თანდართული სავალდებულო რუკის ეზკიზური ვარიანტი განიხილა ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” #16 სხდომამ, რომლის დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ქალაქ თბილისის მერის #1041 (26.04.2012) განკარგულება და გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ინდივიდუალური და დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი განაშენიანებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებაზე საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი ზონებისა და პარამეტრების შესაბამისად (კ–1=0.2; კ–2=0.7 და კ–3=0.25). ყოველივე ზემოთაღნიშნულის შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაშიც და უნდა დაფიქსირდეს წარმოდგენილი ესკიზური ვარიანტის მიხედვით დადგენილი ზონები და საშუალო კოეფიციენტები.

იმისთვის, რომ სამსახურმა შეითანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი თქვენ უნდა წარმოადგინოთ სრული პროექტი.

მიწის ნაკვეთები, რომელზეც უნდა დაპროექტდეს 3 მისასვლელი საავტომობილო გზა ეკუთვნის ქ. თბილისის თვითმართველ ერთეულს და შესაბამისად უნდა წარმოადგინოთ მისი თანხობა და ასევე უნდა წარმოადგინოთ საპროექტო მიწის ნაკვეთების მესაკუთრის თანხმობაც.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ პროექტის შეთანხმების პარალელურად საკითხი უნდა დააყენოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge